

რედაქცია

სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან.
ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: В. Тифлиси, 1-я редакция «Дრობის»
«დროების» ფასა
მთელი წლისა . . . 9 მან. წამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. ერთის თვისა . . . 1 მან.



ფასი განსაზღვრისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადებუ ქრისტეანურ რუსულს და სხვა ენებზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასახებულად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბუნებს ავტორს.

გამოდის ყოველ ღამე ორ შაბათს გარდა.

ჩაღვე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკა

მიიღება ხელის-მოწერა გასეთ
«დროებაზედ»
პირველის ოქტომბრიდან წლის დასრულებამდე. ფასი სამი მანათი.
სოფლის მასწავლებლებისათვის ორი მანათი.

«დროების» ნომერები თითოეულ შუაბრუნებულს, თბილისს გარდა:
ქუთაისში, ჭილაძის ძალა-სიაში,
ბათუმში, ფეიქაროვის თამბაქოს ძალაში,
დუშეთში, გაბო ბაშაროვთან.
გორში, სასოგადოების დეპოში, ალალო თუთაყვითან.
აქვე მიიღება ხელის-მოწერა.

ამ თვის 16-ს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების სამფარლო გადატანილ იქნება ახალ სადგომში, პირველის ქვანახევრის გიმნაზიის უკან, ნაზაროვის სახლში, სიმონსონოვის ქუჩაზე (ს) რთული ემორე).

იხვე იქნება გადატანილი რედაქცია ქუჩისა «ივარიისა». (4-3)

ტელეგრაფი
(ჩრდილოეთის სააგენტოსია.)
12 ოქტომბერს.
ხარკოვი. იარმარკაზე მატყლი სრულიად არ იყიდება; მოსული ხალხი შარშანდღეზე ცოტაა.

«დროების» ტელეტონი, 14 ოქტომბერი
ქუთათური კალტონი.
(დასასრული*)
მართა ოხუნჯმა იმერეთი რამოდენიმე კერძო სამეულებათ დაჰყო და ერთს მათგანს უწოდა «სამეულო წილად-ჩიონისა, მდებარე მთასა ზედა.»
მსახელ-წოდება რაღაც უფრო მიმზიდველი შეიქნა და ამიტომ, — უნდა გატეხილი მოგახსენოთ, — ბევრი ვიტანტალე იმერეთში ამ საიდუმლო სამეულის ძებნაში. მანვე კი, როგორც იყო, მაგრამ რაღა ვნახე!.. საუცხოვო განწყობილებისა, გასაშტერებელი რამეა, სამაგალითო, притча во языцех!.. წყობილება გან-

რინისსი. ვალგაში წყალი 29 გოჯით ნოღზე მდლას ასელი; ექვსი გრადუსი სითბოა.
ოღდა. წრეულ 1-ს ოქტომბრამდინ. აქაური ჰორტიდგან გატანილ-იქმნა სამზღვარ გარეთ 38,687,037 ფუთი სხვა-და სხვა პურის ხორბალი და 202402 ვედრო სპირტი.

მარნი. ჩინეთთან სამზღვრის გაყვანა დაბოლოვდა და 25 სექტემბერს ჩუგურუბი პროტოკოლს ხელი მოაწერეს ორივე სახელმწიფოთ წარმომადგენლებმა, გენერლებმა ძირიდე და ხეხი ამბან-შენთან.
ლონდონი. ამბავი მოვიდა, რომ ჩესმაში ახალი მიწის-ძვრა უოფილა და ბევრი ვნება უქნია.

პარიზი. დღეს ხელ შეკრულ დაიწყო პალატათ სხდომები; პალატათ წარედგინა ტონინის საქმეთა შესახებ ანგარიში, რომელშიაც ნათქვამია, რომ საფრანგეთი მზად არის განაგრძოს ჩინეთთან მეგობრული მოლაპარაკება და იმედი აქვს, რომ ჩინეთს სწორედ შეახედვინებს საქმის მდგომარეობისთვის და დაარწმუნებ, რომ საფრანგეთის პოლიტიკა ზომიერი და ამასთანავე მტკიცეა.

მანა. ავსტრიის დედეგაციის პრეზიდენტად ამოირჩიეს ჩარტორიის მთავარი, რომელმაც თავის სიტყვაში წარმოასტკვა: «ყველა ხალხები ერთ ნაირად საჭიროებენ მშვიდობიანობას; ყველა მმართველობათა ჰსურთ მის დაუმკოფილება, და ამისათვის, სამხედრო ბიუჯეტის განხილვის

ლათ წმინდა მონარქიული, დესპოტიური, რომელიც, როგორც იცით, ბევრად სჯობია კონსტიტუციასაც და რესპუბლიკასაც, მყუდროება სუფევს, მაგრამ რა მყუდროება!.. უმცროს-უფროსობა!.. შიში, მაგრამ რა შიში!.. მერე სწორედ ის შიში, რომელიც «შეიქმს სიყვარულსა!»..
აქ მოხელეები ჯობებით დადიან, მაგრამ იმ ჯობებით კი არა, რომებელზედაც უთქვამთ: «თუშეცა კარგიაო, მაგრამ ყოველს შემთხვევაში ცოტა შორს რომ ეჭიროთ, ისა სჯობიაო!» მართის სიტყვით, ამ სამეულოს კეთილ-განწყობილება სრულია, აქ მთა მთა არის და ბარი ბარი, უმცროსმა იცის, რომ უმცროსია და ცოტა მოშორებით უნდა ეჭიროს თავი, на благородной дистанции, როგორც რუსები იტყვიან..

დროს, დედეგაციებმა მხედველობაში უნდა იქონიონ ქვეყნის ძინანის მდგომარეობა; მაგრამ მაინც არ უნდა გატაცებულ-იქმნან ამ მშვიდობიანობის სურვილით და უნდა დანიშნონ ჰაბსბურგის მონარხის პატიოსნების, ინტერესების და უფლებათა დასაცველად საჭირო საშუალებანი.

პეტერბურგი. მმართველობა არღვევს გაზეთების ცნობებს, ვითომც ნიკოლაევის რკინის გზა ხაზინას ჩამოერთმოს, — ამხედჯერ ლაპარაკიც არა უოფილა; რევიზია კი ნამდვილად დაინიშნა.

«ნოვოე ვრემის» გაუგონია, რომ 28 მაისის წესების დასამატებლად ფინანსთ მინისტრს ამ დღეებში წარედგინა სახელმწიფო რჩევისათვის პროექტი წესდებისა შესახებ იმისა, თუ სახელმწიფო ბანკმა და მისმა კანტორებმა როგორ გაანადღონ სოლოთამსეკები იმ მამულის პატრონებისა, რომელთა მამულზედ ირიცხება ვალი პირველის გირავნობისა სხვა ბანკებში, ან გერძო პირებთან.

სახელმწიფო რჩევა მალე განიხილავს საქმეს შესახებ ეკლესიების დამონასტრების წარმომადგენლობისა საერო დაწესებულებებში.
30 ოქტომბრისთვის დანიშნულია დოსტოევსკის საფლავზე ძეგლის დადგმა.

შინაური ძროხისა
საგანგებო კრებამ თავდაზნაურობისამ ამას წინად გადასწყვიტა ძეგლის აგება თ. ბრიგოლ ორბე-

ამ სამეულოს მოხელეებში თავის ტანადობით და მოქმედებით ერთი მოხელე უფრო საყურადღებოა უცხო კაცისათვის. პატარა არის, მაგრამ ოქროა, რომ იტყვიან — მახედ სრულდება... სისტემას სისტემაზედ იგონებს და მერე ერთი მეორეს სჯობია...
თავის ქვეშევრდომს ქალებს სულ ამხედ ეჩიხინება მარტო, რომ თამაშობა საჭირო არ არის, გაქცევა-გაშტევა, ბავშური (ბავშები ჰყავს ქვეშევრდომებელ) ცელქობა, სიმკვირცხლე, მანებელია.
თუ არ გაუგონეს, მაშინ უყურეთ, როგორც დატრიალდება ჯარასავით...
ასე, ამ საქმიანობაში ატარებს თავის ძვირფასს დროს დიდიდგან საღამოდის ყოველ ცისმარცდეს!.. მს ჩემი სისტემა არისო, ამბობს ამ ქაშად, ეს ჩემგან გამოგონილი

ლიანისათვის. ამ საგანზედ ხელის-მოწერის გამართვის ნება ითხოვა გუბერნიის მარშალმა შინაურ საქმეთა მინისტრისაგან და პასუხად მოუვიდა, სად გასურთ ხელის-მოწერის გამოცხადება — მთელს იმპერიაში, თუ მარტო ძავეკასიაშიო.
სამშაბათს, 11-ს ოქტომბერს, გუბერნიის მარშალთან იყო კრება ამ საგანზედ და გარდასწყვიტეს, ვითხოვოთ რომ ხელის-მოწერა მთელს იმპერიაში გაიხსნას, რადგან ბევრი იმისთანაი ემსახურებიან რუსეთში, რომელნიც კარგად იცნობდენ თ. ბრიგოლ ორბელიანს და მოიწონებენ მის სახსოვრის აგებაში მონაწილეობის მიღებასო. ჯერჯერობით ამის მეტი ვერა გადასწყვიტა-რა კრებამ, რომელსაც რამდენიმე თბილისელი თავადი და აზნაური შეაღვენდა.

შარშან, თელავის ახლო, ს. პურდღილაურში, ერთი საშინელი ამბავი მოხდა.
თ. ნიკ. მანგახიშვილმა მოჰკლა თავისი ცოლი, რადგან, როგორც ამბობენ, სხვა ქალის შერთვას აპირებდა. ამ ამბავმა მეტად ააღელვა მთელი ქაჩეთის საზოგადოება; ყველანი იბრალებდენ ახალგაზდა, ლამაზ ქალს, რომელიც შეიქნა მსხვერპლი მხეცურის უგრძობლობისა.
მს საქმე, როგორც «ძავეკასა» სწერენ ტელეგრაფით, 9-ს ოქტომბერს გაურჩევია ოლქის სასამართლოს განყოფილებას და გადაუწყვეტია: თ. ნ. მანგახიშვილს ჩამოერთვას ყოველივე ღირსება და გაიგზავნოს კატორგაში ათის წლით.
დაბოლოებული განჩენი გამოცხადდება 23 ოქტომბერს.

ჩენის გაზეთის 193 №-ში იყო პატარა შენიშვნა, ვითომც მიხიყის სამიღველოება უჩივოდეს იქაურ ბლადოჩინს ჩა — ს, ფულებს გვართ-

«дисциплинарныя мѣры» არისო!.. მაგრამ ბალა ის არის, რომ პაწაწინა ქვეშევრდომებზედ ვერაფერს გამხდარა ამ სიტყვებით!..

სხვათა სისტემათა შორის ერთი «სისტემა» არის უფრო განსხვავებული. ჩენი ტან-დაბალი მოხელე პედაგოგი. მ — შვილი ღეთის მოყვარე კაცია და უნდა რომ ქვეშევრდომებიც ღეთის-მოყვარენი იყვნენ. ძარგი და პატიოსანი!.. მართლაც, შედინარ ეკლესიაში და ხედავ, რომ საფსეა პაწაწინა ხალხით. მაგრამ ერთი რამ გაგაკვირვებთ და სახელდობრ ის, რომ ეკლესიაში არის ერთი მოძრაობა, მისვლა-მოსვლა, გაძრომ-გამოძრომა!.. რა ამბავია?!.. თურმე, ნუ იტყვი, ბატონს მოხელე

*) იხ. «დროება» № 203.

მეც და რას ახმარებს კი არ ვიცით... ამ შენიშვნის თაობაზედ ჩვენ მოგვიყვანა ოცამდე მღვდლისაგან ხელმოწერილი წერილი, რომლითაც გვარწმუნებენ ბ. ბლალაჩინის პატიოსნებას და კეთილგანწყობილებას თავის საბლალაჩინოსთან. ჩვენ დიდის სიამოვნებით ვაღიარებთ ჩვენს შეცდომას და ვისურვებთ, რომ ყველგან ასეთი განწყობილება იყოს ბლალაჩინებსა და მღვდლებს შუა, თუ კი ამ უკანასკნელთ ჩვენთან გამოგზავნილ წერილზედ ხელი გულწრფელათა აქვთ მოწერილი.

ძახეთში იმყოფება ამ ქაშად «ჭილოქსერის» დასი აგრონომი ბევესკის ზედამხედველობით. დაუვლიათ თელავის მაზრაში უმეტესი ნაწილი ვენახებისა, მაგრამ არა აღმოუჩენიათრა. მხოლოდ ბევრგან ნახეს წრეგანდელ ამოხეთილ ახალ ვაზებში რალაც თეთრი ქია ქინძის-თავზედ ცოტა უფრო მსხვილი, რომელსაც შიგნით ვაზის გული დაუხრავს. ეს ქია შალაქში მოაქვთ გამოსაცნობად.

ვენახის გახმობას აგრონომი ხმელ ყინვას და შემდეგ მოვეტებულ სიცხეებს აბრალებს. ძახეთში რომ გაათაყვებს ვენახის დათვალიერებას, შემდეგ ზაქათალის მაზრისკენ აპირობს წასვლას.

სიღნაღილამ გვწერენ: «მგელი მგლის ტყავს არ დაგლეჯსო», ნამდვილად ამ ანდაზის შესაფერა საქმე მოხდა ამ ჩვენ ღეთისაგან დალოცვილ სიღნაღში; ამას წინადა აქაურ სასამართლოში განიხილეს საქმე—ექიმისაგან უკანონოდ წამლის გაყიდვის თაობაზედ. ბარემოება ამ საქმისა არის შემდეგი: ჩვენ გვყავს ერთი თავისუფალი ექიმი მ., რომელიც, როგორც ამბობდა პოლიციის პროტოკოლი, თავის ავად-მყოფებს თვითონ უკეთებდა წამალს და ისე აძლევდა, რასაკვირველია, ფულით...

ამ გარემოებამ მიიღწია პოლიციის ყურამდის, რომელმაც ესეთი ექიმის მოქმედება იცნო წინააღმდეგ-

გად კანონისა, დაბეჭდა წამლით საყუსე ყუთები ბ. მ.—ისა, შეადგინა პროტოკოლი, ჩასწერა შიგ. რომ ექიმი მ. უკანონოდ ჰყიდის წამლებსაო; დაასახელა რამდენიმე პირი, რომლისათვისაც მიეყიდა მას წამალი და წარუდგინა სასამართლოს. სასამართლო შეუდგა თავის დროზედ საქმის განხილვას. ზანხილვის დროს მოსამართლემ ჰკითხა პოლიციის პრისტავს, რომელსაც პროტოკოლი შეედგინა და კანონის ძალით უნდა კიდევ დაეცვა თავისაგან შედგენილი, —რა ბრალსა სდებთ თქვენ ექიმ მ.—საო?—პრისტავმა, ყველასათვის გასაკვირველად, უბასუხა: მე ამ ექიმს იმ ბრალსა ვსდებ, რომ ეს თავის ავად-მყოფებს წამალს აძლევსო?!—მეტს არაფერს აბრალებთ მაგასაო?—კიდევ ჰკითხა მოსამართლემ.—მეტს სრულეობით არაფერსაო, —მიუგო პრისტავმა. რასაკვირველია, ესეთი პასუხი პრისტავისა, როგორც მოსამართლესათვის, ისე სხვებისათვის ადვილი გასაგებია... სასამართლომ განათავისუფლა ბატ. მ.—ი პასუხის-გებისაგან, რადგან წამლის მიცემა ავად-მყოფებისათვის არ შეადგენს უკანონობას ექიმის მხრით...

ჩვენ ის გვაკვირებს, რომ, როგორც ამბობენ, ეს პრისტავი უწინ მაზრის უფროსის თანაშემწე ყოფილა და ამ ნაირი უხვირო პროტოკოლების გამო სისხლის სამართლის პასუხის ვებაში ყოფილა მიცემული და ძლიერ გადარჩენილა და ნუ თუ ეხლა კიდევ ხელ-ახლად სცდილობს მახეში გაბმას.

«მწყემსსა» სწერენ თბილისილამ: «ამას წინედ «ღროებაში» წავიკითხეთ მშვენიერი აზრი ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსისა შესახებ ფულების მოგროვებისა ქართული გალობის აღსადგინებლად. სხვათა შორის, მისი აზრით ოცი ათასი მანეთი უნდა შეკრებილიყო ჭონდის ფული და გალობის აღდგინებისათვის ხელი უნდა მიეყათ. მას დროს აქეთ აღარაფერი თქმულა ამ საგანზე.

პიროვნება, ნუ შეურევთ) შენცა გაქვს!.. მერე აქედგან რა გამოდის?!

პი ძველი დრო იყო დრო! ტყუილად კი არ იგონებენ ჩვენი მოხუცებულნი ძველს დროს დიდის პატივისცემით!.. როზგი, ბატონებო, სასარგებლო და გამაკეთილშობილებელია საზოგადოებრივის ცხოვრებისათვის, ადამიანის ზნეს და ჩვეულებას ამაღლებს, სწმენდს და აკეთილშობილებს, ცხოვრებაში, საზოგადოების დამოკიდებულებაში შემოაქვს მყუდროება, სიყვარული და ყოველ გვარი სათნოება!.. პი თუნდა მარტო სასწავლებლები ავილოთ!.. ზანა გავგონილა უწინდელს დროში, რომ მოსწავლეს კრინტის დაძვრა გაეხდოდა მასწავლებლების წინაშე?! მაგონილა. აბა, თუ ერთი რამე მაინც გავგონიათ ამის მსგავსი?! ახლა?! ახლა კი სულ

«საჭირო არის შეეცყოთ: როგორ მდგომარეობაში არის ეხლა ქართული გალობის საქმე? არის კომიტეტი ამ საქმეზე დანიშნული თუ არა? რამდენი შეიკრიბა ფული? სად ინახება ეს ფული და ვის აბარია? მუშაობს ვინმე ქართული გალობის ნოტებზე გადაღებისათვის თუ არა?»

ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ ყველა ამ კითხვებზე პასუხს გავცემს ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსი, რომელმაც ითავა ამისთანა კეთილი საქმე და ამასთან გამოაცხადებს შემწირველთა სიასაც.

ამას რედაქტორი თავისით უმატებს: «გებქდაეთ ამ წერილს და ამასთან ვაცხადებთ, რომ დიდის სიამოვნებით მივიღებთ და დაგებქდაეთ ჩვენს გაზეთში შემწირველთა სიას. ეს საჭიროა მით უმეტეს, რომ მეც მაქვს ცოტადენი ფული შეკრებილი სამღვდელოებაში და გაგზავნილი ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსთან და შემწირველების სიას არსად არის დაბეჭდილი».

იმავე გაზეთში სწერია: წმიდა სინოდი დათანხმებულია მუთათისში სასულიერო სემინარიის დაარსებაზე და თავის საშუალებიდან ორასი ათას მანეთამდე ეწვეა სემინარიის სახლის აშენებას. ამასთან სინოდს სურსო, რომ დასავლეთის საქართველოს სამღვდელოებამ ის ფული, რომლის შეწირვა მან გადაწყვიტა ამას წინად, სინოდს გარდასცეს, რომლის სარგებელს გარდა კიდევ შემწივობას ჰპირდება თავის საშუალებიდან.

ამის დაწერის შემდეგ ჩვენ ნამდვილად შევიტყვეთ, რომ ამის თაობაზე კიდევ მიუღია საქართველოს ექსარხოსს უქაზი უწმინდესის სინოდილამ. ამ საგნის შესახებ სამღვდელოების ყრილობა არის დანიშნული იმერეთის ეპისკოპოსის მადრიელის მიერ პირველ ნოემბრის თვისათვის ამა წლისა ქ. მუთათისში. იმედია, რომ ამ საგანზე კარგად მოიფიქრებს სამღვდელოება და ჯეროვან გადა-

სხვა არის?! რათაო?... მათაო, რომ როზგობა გადაადგეს და გადაადგეს მიტომ, რომ მერობაში აღარ ხმარობენო!.. პი და ჰაა!.. მერობაში, იქნება, არც საჭიროა, იქნება ჩვენი ფელური ბუნება თუ არა ბროწეულის წყვლებით, ისე არ დასცხრება, არ მორჯულდება?! მერობაში იქნება იმისთანა დამოკიდებულება არსებობს, რომ სიყვარულის ჩანერგვისათვის ყმაწვილის გულში სულაც საჭირო აღარ არის შიში?! ეს კი აღარ იქონიეს სახეში, ისე მიჰბაძეს ევროპელებს!.. აფსუსს, რომ არა მკითხეს!.. ჩემთვის რომ ეკითხავისმეს, ეურჩევი, რომ როზგი არა თუ არ გადაეგდოთ, არამედ გაეძლიერებინათ და გაეფართოებინათ მისი ასპარეზი. მაგალითად, მე გავაერთოლებდი როზგის მაცხოვრებელთა მოქმედებას და მანამ არ მოვეშვებოდი მათ,

წყვეტილებას დაადგენს მის შესახებ».

იმავე გაზეთში ვკითხულობთ: «ღროებაში რამდენჯერმე გვაცნობა, რომ ბ. სტრუიციმ, რომელმაც მუთათისში ადგილი შეიძინა და ეკლესია და კარგი სახლები ააგო, განიზრახა თავის ყველა ქონების შეწირვა ეპარქიის სასარგებლოდ. ეს ამბავი ეხლა გამართლდა. იმან ჭორმალურად და შთაბარებითი ფურცლით გადასცა მუთათისის სასულიერო მართებლობას ეს მამული, რომელიც მდებარებს მუთათისის ვოგზალის ქვემოთ და ღირს არა ნაკლებ სამოცი ათასი მანეთისა. ამიერიდან ვაძლევს მთელს

შეწირვაც ამას ჰქვია! ამ კაცს რაც გაჩნდა მუთათისში მთლად შესწირა კეთილ საქმეს. მაგრამ ჩვენში, სამწუხაროდ, კვდებიან ზოგიერთი მდიდრები, არ რჩებთ არც ცოლი, არც შვილი; მამული აუარებელი რჩებთ, მაგრამ კეთილ საქმეზე ერთ გროშს არ სწირვენ!.. მხად არიან ათასი მანეთი ბანქოს თამაშზედ წააგონ, მაგრამ ხალხის განათლების საქმეზე ერთ მანეთს ვერ გამოაღებინებთ. შევლაზე სამწუხარო ის არის, რომ ზოგიერთი ამისთანა პირები ზეცამდინ აჰყავთ ქებით».

სამეგრელოდამ სწერენ იმავე გაზეთს რომ სამეგრელო სასწავლებლის ოლქის სამღვდელოება 25-ს აგვისტოსს შეკრებილა ყოვლად-სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის განკარგულებისამებრ სასწავლებლის საქმეების შესახებ. შეკრებილებას ბევრი უწესოება უნახავს სასწავლებელში, რომელზედაც, როგორც გვაცნობებენ, სიგელი შეუდგენიათ დეპუტატებს და რევიზორი მოუთხოვიათ. ამბობან, რომ რევიზორი კიდევ დანიშნულა თბილისის სემინარიის სამმართველოდამ.

ამ წლის დეკემბრის ცხრას შესრულდება სწორედ ოც-და-ხუთი წელიწადი, რაც ეპისკოპოსის ხარისხზედ მსახურებს იმერეთის ეპისკოპოსს.

სანამ სულ არ მორჯულდებოდენ... და შემდეგ, მხოლოდ შემდეგ გარდავიტანდი წყვლის გამაკეთილშობილებელს მოქმედებას მოსწავლეებზედ... მაგრამ... მაშინ, დარწმუნებული იყავი, მკითხველო, აღარც კი იქნებოდა საჭირო როზგი!.. მაგრამ ეჰ, რა გაეწყობა, არ მკითხეს და არა!.. ისე შემოიღეს გაცოცხება!.. მადლობა გამჩენს მისთვისაც, რომ შემოიღეს!.. ამ როზგმა ძველი დრო მომაგონა!.. რა კარგი იყო ის დრო, როდესაც იმდენი სიკეთე შენ, მკითხველო, რამდენიც მე როზგი მომხვედროდეს! რეა წლისა ვიყავი, სოფლის სასწავლებელში რომ შემეყვანეს და თორმეტი წლის ვიყავი, რომ «გავათავე კურსი». დღე რომ გასულიყო ისე, რომ არ გავეროზებე ჩემს მოძღვარს, რალაცა ნაკლებევენებას

სი ყოვლად-სამღვდელო მარტივი (მწყემსი).

«მწყემსს» შეუტყვია, რომ მაღალ-ყოვლად უსამღვდელოეი საქართველოს ექსარხოსი არქივისკოპოსი პაულე ამ თვეში მიბძანდება იმერეთის ეპარქიაში და დაიღოს ამ ეპარქიის შესანიშნავ ადგილებს. ამბობენ, რომ შურიაშიც წაბძანდება შურის ეპარქიის დასახელებად. ჩვენ ვგონებთო, რომ მის დახედვის შემდეგ მალე გადაწყდეს შურის ეპარქიის დატოვების, ანუ გაუქმების საქმე.

ამ ცოტას ხანში განიხილება კანონ-მდებლობის წესით ახლად შედგენილი პროექტი შესახებ ზაფხულისა და ზამთრისა (პილალისა და შიმლალის) სახელმწიფო საძოვრებით რიგზედ სარგებლობისა (ქავეკაზია).

«ქავეკაზიე» შეუტყვია, რომ შემოუწავებულა პროგრამა, თუ როგორ უნდა შეიკრიბოს ადგილობრივი ცნობები შესახებ ქავეკაზიის აქეთა მხრის სახელმწიფო გლეხების ეკონომიურის მდგომარეობისა. ამ ცნობებს იმისათვის საჭიროებენ, რომ მიწის მფლობელობა მათ შორის წესიერად დაეყარდეს.

«იურიდიჩესკოე მობოზრენიეში» დაბეჭდილია პატარა წერილი ბ. ა. სტეფანოვისა, რომელიც გვარწმუნებს, რომ იმის გაზეთი 1-ს იანვრიდან გამოვა და სახელად ერქმევა «ახალი მიმოხილვა» («Новое Обозрение») და არა «ქავეკაზიის მიმოხილვა».

ფერილები რედაქტორთან.

თქვენის გაზეთის 198 №-ში წავიკითხეთ ჩვენს სოფ. ქარელში ცეცხლის გაჩენის თაობაზედ მოწერილი ამბავი, სადაც ნათქვამი იყო ვითამც იმ დამეს, როდესაც ცეცხლი გაჩნდა, მაშინ, იმ დამეს სოფელს ქარელში მეოფეს, პოლი-

ვიგონობდი, ისე შეჩვეული ვიყავით... ძალიან ეშმაკები კი ვიყავით!— გაგვაწვედნენ ოთხს და ხუთს ერთად; მაგრამ დავეიშენდნენ თუ არა, შეუძლებლობით სტოლებ ქვეშ... გამოგვითრევდნენ და დავეიშენდნენ... მერე რას ვგრძნობდით?! სირცხვილს თუ?! თქვენც არ მომიკვდით.. ან კი ვისი შეგვრცხვებოდა?! იმ დროს ყოველგან როზგის სუნი სტორილებდა, ყველანი ამ ჰაერით სუნთქავდნენ, ყველას ფილტვები შეჩვეული იყო, არა კაცის ცხვირი ამ სუნის სიმყრალეს არა გრძნობდა.. ასე იყო სოფლის კლასში. შემოიყვანეს სასულიერო სასწავლებელში და იქაც ხელი არ დაუკლიათ. ასეთი გამცოცხა მაშინდელმა პესტალიციმ—ბატ. შანიძემ, რომ თქვენი მოწონებული.. მერე რაო?! სულაც არაფერი.. ამის წინააღმდეგ არც მე ვამბობდი, არც

ციის მოხელეს ნაცვლად შემწეობის და განკარგულების მოხდენისა მჭადიყოფს დუქანში თავის ჩაფრებითა და ღვინოს შეჭქვლად.

ეს ამბავი შევდომით არის მოხსენებული. ჯერ ერთი ესა, რომ დასახელებულ მოხელეს სრულებით ჩაფრები არ ახლავს, მეორე, რომ როდესაც შეტყობინეს მძინარეს, იქამდის არაუყოფა, რომ ჩექმების ჩამაც კერ მოესწრო და წარაქვდა პალატოში გასვეული მოხელის ცეცხლის გაჩენის ახავას. მასუფან გასწავა სტანციისაკენ, აცნობა ტელეგრამით ჩვენს გარის მხრის უფროსსა, სთხოვა განკარგულების და შემწეობის მოხდენა, რომლის გამოც მოცუილენ გორიდან დიდიად ადრან გამკეზაზილი პრისტაუები: ვკარამაძე და სმიადოვი ჩაფრებითა. ამას გარდა ამ მოხელემ გაღვიძა სტანციის უფროსი, სთხოვა გასაქრობი მაშინა, რომელშიც თვითონ და ერთი სტანციის მოსამსახურე შემოუდგინენ, ამოიტანეს და დაუწვეს ცეცხლს ქრობა; თუ ამ პოლიციის მოხელეს არ მოეფრებინა ამოტანა მაშინისა, დღეს ჩვენი ქართველების ეკლესია და იმის სახსლავს ივანე ლეონის მის ციციშვილის სახლები და უკუგადავი იმის გარეშე მოსახლები სრულებით გადამწვარნი იქნებოდნენ. როდესაც მაშინა მოიშალა, ჩვენდა საუბედუროდ, და კვლავ იმოქმედა, მაშინ გაქანდა ეს პოლიციის მოხელე და წყალი მოუგდო და ამითაც დიდად უშველა საქმეს. დაგარწმუნებთ, ბ. რედაქტორო, რომ დილის სამის საათამდისინ შეუდღისა, ამ საცხდავს პოლიციის მოხელეს ფეხი არ მოუწყვლია და ვინ უნდა იყოს ის, რომელიც ასე ერთგულად მოქმედს შირს ასე აბაბურებს?

9-ს ოქტომბერს.

ბ. რედაქტორო!

თქვენს პატივცემულ გაზეთის «დროების» 193 №-ში, სხვათა შორის, არის მიზიცილამ პატარა შენიშვნა; ვითომც მე როგორც ბოლოჩინი ძლიერ შევიწროვებას ვაძლევდი სამღვდელოე-

ჩემი მშობელი და არც საზოგადოება! შევლას ასე მიგვაჩნდა, რომ ერთი როზგ-ქვეშ გამოსული სჯობდა ათს როზგ-ქვეშ გამოუსვლელს.. ბეროზგავდნენ, გვირტყამდნენ სახლში; გვროზგამდნენ, გვეცემდნენ სკოლაში! სულაც არაფერი.. ბატონ-ყმობის დროს ან რა საკვირველი იყო.. ასეთი იყო ზნე, ჩვეულება, შეხედულება შინ და გარეთ, სახლში და სკოლაში, ოჯახში და საზოგადოებაში..

ახლა კი სულ სხვა არის.. ბატონ-ყმობის მოსპობამ, ადამიანის პიროვნების აღდგინებამ, კანონის წინაშე გათანასწორობამ და იმ ჰუმანიურმა აზრებმა, რომელნიც ამის გამო ცხოვრებაში დაღტრილდნენ, ღრმა ცვლილება მოახდინეს ზნესა და ჩვეულებაში; საზოგადოებრივს ზნეობას, კაცთა დამოკიდებულებას ოჯახში და

ბას ჩემის საბოლოოჩინოისას, მით რომ ვართმევდე ფულს და არ კი იცოდნენ რისთვის?

ზოხოვთ ჩემის სიმართლის აღსადგენად, მისცეთ პატარა ადგილი გაზეთს «დროებაში» ჩემს შენიშვნასაც. (01)

მე ვითხოვ ამ შენიშვნის დამწერს მომცეს პასუხი, თუ რომელი მღვდელია ჩემს საბოლოოჩინოში ისეთი უჭკუო, უგუნური, რომ არ იცოდეს, ვერ გაგოს, რისთვის მძძღვეს ფულს და ისიც ისე, რომ არ მიუვიდეს კანონიერი მიწერილობა, რომელშიც უნდა იყოს გამოცხადებული—რა საგნისათვისაც ერთმევათ ფული. მინ არის ისეთი უნო, რომ ვერ გაბედოს თქმა ჩემს უსამართლობაზედ? მსოხვ ჩემს საბოლოოჩინოს მღვდლებს შურც პირფერობით, შურც სხვა განზრახვით ნუ დამაღვენ ჩემს უსამართლობას და გამოაცხადონ, თუ გამოძირთმევია ფული და არ კი იცოდნენ რისთვის. წამკითხველთ კარგათ მოეხსენებათ, რაც ფული ერთმევათ და ენლაც ერთმევათ სასარგებლოთ. თელავის სასულიერო სასწავლებლისა. დამწერმა ჩემზედ კორესპონდენციისამ ვერ შეიტყოს, ეს ფული იგზავნება სადაცა ვერ არს თუ არა, და თუ იმაზედ მეტს ვართმევდე ვთხოვ დამწერს გამოაცხადოს მარტო სიტყვით კი არა, ფაქტებითაც დაამტკიცოს. ბარდა ამისა ჩემს საბოლოოჩინოში, სხვაგან არ ვიტყვი, არიან იმისთანა მღვდლები, რომელნიც არა სჯერდებიან თაივანთ ჯამაგირს, შემოსავალს და ეკლესიების შემოსავალსა სჭამენ. რასაკვირველია, თუ შევამცინე, არ შევარჩენ, გამოვართმევ ძლიით და მივაქცევ იმ ეკლესიაშივე, რომელსაც ვკუთვინს. მოგახსენოთ ერთი ფაქტიც: ჩემს საბოლოოჩინოს მღვდელს ი. ჯ—ს არ ვაპატივე თოხმეტი მანეთი, რომელიც ჰქონდა შექმული ეკლესიის ფული, წაერთი და შევიტანე იმ ეკლესიაში, რომელსაც ვკუთვინოდა. რასაკვირველია, ბერს არ მოსწონთ ჩემი ამ გვარი

საზოგადოებაში, საზოგადოებრივს კულტურას სულ სხვა მიმართულება და ხასიათი მისცეს.. ახლა როზგის შემოღება დიდი გმირობა არის, მაგრამ მიტომაც მომწონს, რომ გმირობას ვხედავ ამაში.. წინედ რომ გაგვაწვედნენ, გვანუგეშებდნენ: არაფერი გიშავთ, ეშმაკებს გამოგიჩეკეთო.. მაგრამ განა ახლა უფრო ბევრი ეშმაკები არ არიან?! ოლონდაც რომ არიან და კიდევ მათ გასარეკად შემოუღლიათ როზგის..

ამ როზგზედ თუ ვლაპარაკობ, იმიტომ კი არა, რომ ლაპარაკის საღერღელი ამშლოდეს, არამედ იმიტომ, რომ ხმა არის გარცელებული, ვითომც ბოწუელის წკვლები მოქმედებაში მოეყვანათ ზოგიერთს ადგილას.. (001)

*** მე ამ როზგის შემოღებაზედ უფ-

მოქმედება და სთელიან უსამართლოდ.

დასასრულ, უმოჩინოვანესობაზე ჩემზედ შენიშვნის დამწერს, გამოაცხადოს წამღვილად სასარგებლოდ ჩემდა ვისგან რა მიმილია.

ბ. მ. დ. ჩანსავეი. სოფ. მაშნარო. 6 ოქტომბერს.

რუსეთი

— შეტყობუგის უნივერსიტეტის რექტორად ბ. ბუკტოვის მაგისტრად, რომელმაც არ დაუტოვა ამ წოდების მიღება, ამოუწიკავით ხმის უმეტესობით «პოლიციურ განხილვა» დასასრულებული პროფესორი ანდრეუკოვა.

უცხოეთი

— გაზეთი ტამისი იწერება, რომ თუ საფრანგეთსა და ჩინეთ შუა ომიანობა წამოკარდა, ეს ვარემება ერთმანეთს მამაშულებს ორს სახელმწიფოსა, რომელთაც ესა მეგობრული განწყობილება აქვს ერთმანეთში. თუ ეს ომი მოხდა ინგლისს მიეცემა იისეზი ორწუნოს თავის სამფლობელოზე და ვაჭრობაზე, რომელნიც მას ჩინეთში აქვს. სხვა გაზეთების აზრითაც საფრანგეთის და ჩინეთის შუა ომი მეტრძელ მხარეთ არც დიდს სასრებლობას მოუტანს და არც მეტის მეტად ავნებს, მაგრამ კერძობის შუა სახელმწიფოებისათვის კი დიდი შედეგი ექნება მას. თუ საფრანგეთმა დამარცხდა, ამით ბუკრს ვერსს მოიგებს და ჩინეთიც, თუ დამარცხდება, ბუკრს არაფერს დაჭარბავს. აქ უკლებზე მომატებულად ეგნება ვერ ინგლისს, მეტრძელმეგობრებსა და გერმანიას. — ბისმარკი იწერება, გაზეთები—რომელიც აქამდინ გულ გრძლად უმხრება საფრანგეთის სხვა ქვეყნებში მოქმედებას, ესლამ შეფიქრანებულად და ცოტა არ არის შეშინებულად კიდევ საფრანგეთსა და ჩინეთ შუა ომი ადმტავს ისევე ჩინელებში

რო მომწონს მეცხრამეტე საუკუნის გამოჩენილის პედაგოგის დე-პულეს აზრი სკოლების შემცირებაზედ და უფრო იმაზედ, რომ სკოლები სულ დაიკეტონ შეუძლებელის ხალხისათვის.. მართალს ამბობს, მე და ჩემმა ღმერთმა!.. ოლონდაც რომ უნდა დაიკეტონ!.. აბა, რის მაქნისია სკოლები შეუძლებელის ხალხისათვის?!..

როდესაც მის გვერდით წამღვილი ქვეყნის მუშა ლუკმა-პურის უქონლობით სულსა ლეეს!.. კარგი და ეს სასარგებლოა მერე სახელმწიფოსს მუდროებისათვის?!.. სულაც არა!.. ბრიბოვდოვის გმირისა არ იყოს: КОЛИ ЗЛО ПРЕСѢЧЬ, ВЗЯТЬ ВСѢ КНИГИ ДА И ЖЕЧЬ. მე დაეუმატებ—სკოლებიც თან მიწყობეთ-მეტიქი!..

გარეშე მაყურებელი. ქუთაისი, 2 ოქტომბერს.

უცხოეთებისადმი უწინდელს სიმძულ-
ვარეს და ინგლისის დაჭარბებას «ცოფის
იმპერიაში» (ჩინეთს უკანასკნელს იმ-
პერიას) უკლებსთქვას, რად მან შეიძინა
იქ ამ უკანასკნელი ოცის წლის განმავ-
ლობაში.

— ჩინეთის კლას მარკოზ მენეს, რე-
მედიც 2-ს ამ თვისას დიდის ამბით
მიუღიან ინგლისში, უთქვამს შემდეგი:
«აქ დიპლომატიური ვითარების განსჯის
ადგილი არ არის, მაგრამ იმას ვი ვიტყ-
ვი, რომ იმედი მაქვს ჩინეთის და საფ-
რანგეთის საქმე, რომელზედაც უკლებს
უფრადღებს აქვს მიჭრეული, მშვიდობა
ნად დიპლომატიკა, რადგანაც ორივე სა-
ხელმწიფო ბერს უთმობენ ერთმანეთს.
დაწმუნებული ბძანებოდეთ, რომ ამ
გვარი საქმის გადაწყვეტა თუ შეუძლე-
ბელი იქნება, ჩემი ბრალი არ იქნება ეს,
რადგანაც მე მსურს და ძალიანც მსურს
მისი მშვიდობიანად დაბოლოება». მსმე
ნელთ მარკოზის სიტყვები დიდის აღ-
ტაცებით და ტანის ვერით მიიღეს.

— ბერლინიდან ერთს საინტერესო
ამბავს იწერებან. გენისბერგის ფორ-
ტეს სწრაფ დატურსალებით ერთი ვი
ლაც ვატი, რომელსაც რეგები და გვერები
ჭჭონია თანა. ამ ვატი გამოძიებულსათვის
გამოუცხადებია, რომ ის რუსეთის ქვე
შეკრძობია.

— იქიდაძე მისული ამბებიდან
სხანს, რომ ამას წინად იმპერატორს
ვიღებდნენ მიუღია წერილი, რომელშიაც
ემოქრობდნენ თურმე მას. პოლიციას
უბრუნია ამ წერილის ავტორი, რომე-
ლიც გიჟია თურმე.

— ვენეციის დემუტატოთა პალატაში
შემდგარა ვენეციის წინააღმდეგო წრე,
რომლის კომიტეტიც შესდგება ცნობი-
ლი დემუტატებისგან: ისტონი, რამონდი,
სიმონი და შელისანა. ამ ახალი პოლი-
ტიკური წრის წევრებს შეუძლიანთ სრუ-
ლი თავისუფალი მოქმედება ყოველი საგ-
ნის შესახებ, ვინც ვენეციის საქმე-
ბისა.

განსხვავება

მივიღეთ ბევრი ფაშტის ქაღალდი,
რიფისა და ბევრი სხვა ნაირი ცო-
ნერტებით, აგრეთვე რკინის კალმები,
კლერკები, თეთრი მეტალის ფოდ-
ნოსები, ტუალეტის საპონი, ჩიი 1-ს
მოკრეფისა და სხ. სულყველაფერი
25% -ით უფრო იაფად იყიდება, ვიდ-
რე სხვაგან სადმე ინგლისურს მალა-
ზიებში. იქვეა ზოგიერთა კაცის ტან-
საცმელიც, დრაფი, ტრიკო და სხვა.
ამებშიც ფასი ძალიან დაეთმობათ
მყიდველებს. (10—2)

გაიხსნა ფილიპის
აფთქა
ხარფებში შეითან ბაზარში.
(3—1)

ღავით კავალი

წარმოებს ვეელა ნაირ საქმეებს,
განსაკუთრებით სასწესლო სა-
მართაღმი.
საპორტის ქუჩა, შაბლოცკის სახ-
ლი. (10—9)

თბილისის ჯარბის ტან- საცმლის საგარეო რომლის ნავთილუმი იმ- ყოვამ, იოვას საგ- ყოლ გეკრავლ კასავს და ქალავს, რომელთაც კი ეაუგლიანთ გუნდობის და უინღების ხალით პარ- ვა და აგრეთვე იმ გეკრ- ვალ კასავს და ქალავს, რომელთაც ფაშის საგ- რავ მაუინაფა გუყოვამ იხიან. (10—5)


სასტუმრო (გოსტინიცა) „ისტალია“

ნიკოლაევის ქუჩაზე, მორონცოვის
ძეგლის (პამიატნიკის) მახლობლად
ჩემს საკუთარს სახლში.
ნომრები მშენებრად მორთულია
ელექტრონის დასარკვის ზარით და
მარდი მოსამსახურეებით. სასტუმროსა
აქვს ბუფეტი. შასი ნომრებისა, სა-
მეღებისა კარტით და სასმელებისა
ნაკლებია.
სასტუმროს პატრონი ბ. სარქისოვი.
(30—15)

ინგლისის გლავიცა

Maison de confiance
შეადარეთ ჩვენი ჩიი მოსკოვის ჩიის
1 მ. 10 კ. 1 მ. 40 კ.
— — 1—20 — — 1—60
— — 1—40 — — 1—80
— — 1—60 — — 2 —
— — 1—80 — — 2—50
საგუთუსო 2 — — 3 —
იქვე იხილება სხვა საქონელიც: თო-
ფები, რეკლავები, ვარკობები, ტურ-
ტელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები,
გოგნები, ტანსაცმელი, კალმები, ქაღალდი,
შოკოლადი, ვაგო, ვანფუტები, მურაბე-
ბი, მაგნეზია, უნაგირები, კლეონგა,
წინდები—ვანის და ქალის, ხელ-სახო-
ცები, მაკინტოშის კალენგორი—სულ
ვეელაფერი 25-დან 50 პროცენტით უფ-
რო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მა-
ღაზიაში.
ვინც ქალაქს გარეგანად 25 მანეთად
1,000 მანეთადინ საქონელს გამოი-
წერს, გასაჯ ზავის ანაფერს არ ის-
თის. (100—49)

ინგლისური რკინის პარავოტები



ერთის საწოლი 7 მანეთადგან და
ორის საწოლი 14 მანეთადგან, მათი
ღებები, ზღვის ბალახით გატენილი 5-
დან 8 მანეთადგან. ვიდრე შემდეგი ნი-
თებს იყიდება 25% -ით უფრო იაფად,
ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანის მეტა-
ლის ნიუთები, ჩაიდნები, საგადაქე, სა-
შაქრე, ჩაისა და სტოლის გოგნები ჩან-
ღებითა, ფადნოსი, დასადგმელი, პირის-
სახანი, სტაქნები, სუფოგინი, საწურა-
ვები, რეჟიმები, ვანფუტები, საქაშები,
... (100—2)

ერთის საწოლი 7 მანეთადგან და
ორის საწოლი 14 მანეთადგან, მათი
ღებები, ზღვის ბალახით გატენილი 5-
დან 8 მანეთადგან. ვიდრე შემდეგი ნი-
თებს იყიდება 25% -ით უფრო იაფად,
ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანის მეტა-
ლის ნიუთები, ჩაიდნები, საგადაქე, სა-
შაქრე, ჩაისა და სტოლის გოგნები ჩან-
ღებითა, ფადნოსი, დასადგმელი, პირის-
სახანი, სტაქნები, სუფოგინი, საწურა-
ვები, რეჟიმები, ვანფუტები, საქაშები,
... (100—2)

ინგლისის მალაზიის თიის ანოპონი



ამბავებს თმას და აღწინდელ
ფერს აძლევს, ფასი ერთი შუმი-
სა 2 მან., ვანფუტით 2 მანეთი
და 28 კანს.
(100—51)

საკლავო სურსათი



რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსვილ,
უსუფთაო ქაღალდი. ერთადერთი.
საკლავო—ინგლისის მალაზია. იქვეა
აგრეთვე სხვა-და-სხვა ვანის კალმები,
ფოკლის „სელისათვის“—25% იაფად,
ვინც სხვაგან. იქვე: შელანი, ქაღალდი,
ვანფუტები, რეკლავები, ჯაქი, ვანის-
და-ში, ვანალი, კალმები, ბუმაყინები,
პორტუ-
სივარები, ალბომები, რამები, მაგრატლები,
სამართებლები, სანთელი, საღვსო,
ცარაშები ტურტლების საწმედად (ბორაგისი),
თეთრულისათვის, ვატარა ხაღვი,
იტალიისათვის კლიონები, ტანსაცმელი,
სავარძლები, სარკები, სავარცხლები,
ბუშმე-
ნი, ხარები, ბინოკლები რეკლავები,
ვანფუტები, მისის-სათვი, კომპასები,
ტერმომეტრები, მეწვეები, ნემსები,
მაგნეტები, სვისტოვი, პომონი,
ქამრები,
სარტულები, საყუდური, ვანფუტები,
საშრობები, ვანისები, ფილტრები,
შორტები,
თავის. ტანისამოსის, ცხენის და
ვატანტანის მაკინტოშები, ვანგები,
საქმიო
ქაღალდი ვატარ-გლავისათვის და სხვ.
და სხვ.
პატაშვი—20 კ. (100—99)

ვახანდა

ხორავისა, რომელიც იყიდება თბი-
ლისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-
და-ხელ 1 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამ-
დე 1883 წ.
გამომცხვარი პური რე-
სთის ფუჭილისა — 1 გირ. 5 კ.
აჭურის ფუჭილისა: პირ-
ველის ხარისხისა — 1 გ. 2 1/2
მეორისა — 1 გ. 2 კ.
ამავე ფუჭილ. თორნიში გამომცხვარი:
პირველის ხარისხისა — 1 გ. 5 კ.
მეორისა — 1 გ. 3 კ.
მესამისა — 1 გ. 2 1/2
ჯვარის-მამის პური:
პირველის ხარისხისა 1 გ. 5 კ.
მეორის ხარისხისა 1 გ. 3 1/2
მესამისა — 1 გ. —
ძროხის ხარისხისა:
პირველის ხარისხისა — 1 გ. 8 კ.
მეორის — 1 გ. 7 კ.
სუფი — 1 გ. 15 კ.
ცხენის ხარისხისა — 1 გ. 8 კ.

თეფები, ზღუდები, საქონელი, ტან-
საცმელი, სარკები, ვანფუტები, ვან-
ის საფუტები, უნაგირები, ვანისა და
ქალისა, ალბომები, სლისტები, ტანის-
მოსის დასაქიდელები, საბადო მაგრატ-
ლები, ვაქნები, უთები, წისკილები,
ხერხები, ქაღები, კლიტები, ინგლისის
თოფები და რეკლავები, ვიუები, ზა-
რადები, ვანფუტები, ვანფუტები, ნინ-
ბები, ვატარ-პრუტები, სანები, ხელუქები,
წინდები, სუფრები, საღვტუებისათვის
რეკლავები, ემადანის ტურტელი, მურა-
ბები, ვანფუტები, ვანფუტები, სოფები,
ზღვის ბალახი, დიმიკიტონები და სხ.
ინგლისურს მალაზიებში №156,
157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს
უფრადღება მიჰქრეოთ. (100—2)

რკინის გზა

თბილისიდან ქუთაისისკენ მიდის
8 საათზე და 31 წამ. დილით.
თბილისიდან ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდან ბაქოსკენ
11 საათზე და 11 წამ. ღამისა.
ბაქოდგან თბილისისკენ
10 საათზე და 23 წამ. დილისა.
ქუთაისიდან თბილისისკენ
12 საათზე და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდან ბათუმისა და
ფოთისკენ
5 საათზე და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდან თბილისისკენ
8 საათ. დილისა.
ფოთიდან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილისა.
ფოთიდან ბათუმიდან მომავალი
თბილისში შემოდის
10 საათზე და 25 წამ. ღამისა.
ბაქოდან მომავალი შემოდის
თბილისში
7 საათ. და 49 წამ. დილისა.